



პროტოკოლი პირველადი

ქვემო კიდურების ქრონიკული ვენური დაავადებების მკურნალობა

კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი
(პროტოკოლი)

ქვემო კიდურების ქრონიკული ვენური დაავადებების მკურნალობა
(პირველადი ჯანდაცვის რგოლი)

დეფინიცია

ქრონიკული ვენური დარღვევები ეს არის ტერმინი, რომელიც გულისხმობს ვენური სისტემის მორფოლოგიური და ფუნქციონალურ დარღვევათა სრულ სპექტრს იმის მიუხედავად იწვევენ ისინი სიმპტომებს თუ არა.

ვენების ქრონიკული დაავადება (CVD) ეს არის ტერმინი რომელიც, მოიცავს ვენური სისტემის ხანგრძლივად მიმდინარე მორფოლოგიურ ან ფუნქციურ დარღვევებს, რომელიც მანიფესტირებულიასიმპტომებით და/ან ნიშნებით, რაც მიუთითებს გამოკვლევის და/ან მკურნალობის საჭიროებაზე.

სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები

1. პირველადი გასინჯვა
2. ფერადი ექოდუპლექსკანირება

პირველადი გასინჯვის ძირითადი პრინციპები

კლინიკური სიმპტომატიკა

1. ტკივილი;
2. წვა;
3. სიმძიმის შეგრძნება;
4. კუნთოვანი კრუნჩხვები;
5. კანის ქავილი;
6. დაჭიმულობის შეგრძნება ქვედა კიდურებში;
7. დაღლილობის შეგრძნება;
8. შეშუპება;
9. მოუსვენარი ფეხების სინდრომი.



კლინიკური ნიშნები

1. ტელანგიექტაზიები;
2. რეტიკულარული ვენები;
3. ფლ ებექტაზიური გვირგვინი (corona phlebectatica)
4. ვარიკოზული ვენები;
5. პიგმენტაცია;
6. ლიპოდერმატოსკლეროზი;
7. დერმატიტი;
8. ფიზიკალური გასინჯვის დროს უნდა შეფასდეს:

ტრენდელენბურგის, შვარცის და პერტესის ტესტები; ხომანსის და

მოზესის სიმპტომები

დიფერენციალური დიაგნოსტიკა

1. პოსტრომბოზული სინდრომი
2. თანდაყოლილი ვენური დისპლაზიები

ქვემო კიდურების ქრონიკული ვენური დაავადების დროს განვითარებული ტროფიკული წყლულის არსებობის შემთხვევაში დიფერენციალური დიაგნოსტიკა უნდა გატარდეს:

1. მათლიტირებელი ათეროსკლეროზის დროს განვითარებულ წყლულთან
2. დიაბეტურ წყლულთან
3. მარტორელის სინდრომთან (ჰიპერტონული წყლული)
4. პიოგენურ (ინფექციურ) წყლულთან
5. მალიგნიზირებულ ტროფიკულ წყლულთან
6. სისტემური დაავადებების დროს არსებულ ტროფიკულ წყლულებთან



1. დიაგნოსტიკური ტესტები და სპეციალისტთა კონსულტაციები

ფერადი ექოდუპლექსკანირების ძირითადი პრინციპები

1. ღრმა და ზედაპირულ ვენურ სისტემაში აქსიალური და სემენტური რეფლუქსის შეფასება;
2. პერფორანტულ ვენებში რეფლუქსის შეფასება;
3. ვენური ოკლუზიის და ვენური ობსტრუქციის დიფერენცირება;
4. შესაძლო ვენური კომპრესიის არსებობის შეფასება

სპეციალისტთა კონსულტაციები

1. დერმატოლოგის კონსულტაცია ქრონიკული ვენური უკმარისობის ტროფიული ფორმის დროს

პროტოკოლის გადასინჯვის და განახლების ვადა 5 წელი

გაიდლაინი, რომელსაც ეყრდნობა აღნიშნული პროტოკოლი - „ ქვემო კიდურების ქრონიკული ვენური დაავადებები მკურნალობა“

ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

1. ადამიანური რესურსი - ოჯახის ექიმი, ან უბნის თერაპევტი; რადიოლოგი
2. ფერადი ექოდუპლექსკანერი

დროის რესურსები

ოჯახის ექიმთან/უბნის თერაპევტთან ახლად დიაგნოსტირებული ან პრაქტიკაში ახლად რეგისტრირებული ქრონიკული ვენური დაავადებით/უკმარისობით დაავადებულ პაციენტს დაეთმობა 15 წთ. ოჯახის ექიმთან განმეორებით ვიზიტს დაეთმობა 10 წთ.